ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს ნომერში:

- უიმბლდონის ტურნირის ნახევარფინალში: ო. მოროზოვა — ა. მეტრეველი
- კანდელის 28 ქულამ „ურალმაშს" ვერ უშველა
- საუკეთესო ბომბარდირის მეათე გოლი
- უზარმაზარი ბურთი — სუვენირებად

გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი თბილისის „დინამოსა" და სვერდლოვსკის „ურალმაშს" შორის.

სურათზე: შეხვედრის მომენტი.



(მატჩის ანგარიში იხ. მე-2 გვ.).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 129 (4123)

1970 წ. 4 ივლისი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



## გუშინ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული შეხვედრა ადგილობრივ „ბურევესტნიკსა" და ცსკა-ს შორის. გაიმარჯვეს არმიელებმა — 95:59 (45:24).

## 20 45

◆ ლონდონი, 3 ივლისი. უიმბლდონის ტურნირი დასასრულს უახლოვდება. ერთეულთა თანრიგებში გამოვლინდნენ ფინალის მონაწილენი. ქალთა შორის ესენი არიან ბილი-ჯინ კინგი (აშშ) და მარგარეტ კურტ-სმითი (ავსტრალია). 1968 წელს კინგი და სმითი უიმბლდონის ჩემპიონები იყვნენ: პირველი — პირად შეჯიბრებაში, მეორე — შერეულ წყვილებში. ვაჟთა ფინალი, პირველად მრავალი წლის შემდეგ, „წმინდა ავსტრალიური" იქნება: როგორც შარშან, ფინალში ახლაც გავიდა 26 წლის ჯონ ნიუკომბი. მის პირისპირ დადგება 35 წლის ვეტერანი კენ როზუოლი. ამ უკანასკნელმა სძლია ინგლისელ ტეილორს (6:3, 4:6, 6:3, 6:3), ხოლო ნიუკომბმა — ესპანელ გიმენოს (6:3, 8:6, 6:3). ამრიგად, ავსტრალიელები კვლავ დიდ წარმატებებს აღწევენ უდიდეს შეჯიბრებებში. ნიუკომბმა და მისმა თანამემამულე ტონი როჩმა, რომლებმაც დაამარცხეს საბჭოთა ჩოგბურთელების წყვილი — მეტრეველი — ლიხაჩოვი, ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. შერეულ წყვილთა ნახევარფინალში გავიდა ოლღა მოროზოვა — ალექსანდრე მეტრეველის დუეტი, რომელმაც სძლია ავსტრალიელებს კარენ კრანტცკესა და რეი რაფელსს — 6:4, 5:7, 7:5.

## წლეულს მესამედ!

კიევი, 2 ივლისი (ტელეფონით). უკრაინის დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე დღეს დაიწყო მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება გამოჩენილი საბჭოთა ათლეტების, ძმების ს. და გ. ზნამენსკების პრიზზე. პროგრამაშია ვაჟებისთვის 21, ქალებისთვის — 14 სახეობა. ტურნირი ორ დღეს გაგრძელდება.

მასპინძლები — სსრ კავშირის ნაკრების წევრები — ამ ასპარეზობისთვის შესანიშნავად მომზადებულან და დღევანდელი პროგრამის ბევრ სახეობაში მაღალი შედეგებითაც გაიმარჯვეს.

მოსკოვის ოლქის პედინსტიტუტის სტუდენტმა ა. ლაზარევა-ოკოროკოვამ სსრ კავშირის რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში წლეულს მესამედ გააუმჯობესა. ამჯერად მან 187 სმ დაძლია, რაც, ამავე დროს, სეზონის საუკეთესო შედეგია მსოფლიოში. შემდეგ ოკოროკოვამ რუმინელი ი. ბალაშის მსოფლიო რეკორდზე მიიტანა იერიში. ერთ-ერთი ცდით იგი მიზანთან ახლოსაც იყო, მაგრამ მსოფლიო რეკორდი გადარჩა. შეჯიბრების შემდეგ ოკოროკოვამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იგი შეეცდება 191 სანტიმეტრი ამ სეზონშივე გადალახოს.

სსრ კავშირის მეორე რეკორდსმენი გახდა ევროპის ზამთრის პირველობის ჩემპიონი, 22 წლის კიეველი სტუდენტი ე. არჟანოვი. 800 მეტრზე წინასწარ გარბენში მან 1.45,5 აჩვენა, რაც ლენინგრადელი ს. კრიუჩეკის რეკორდზე 0,7 წამით უკეთესია. წლეულს ამ მანძილზე ასე სწრაფად მსოფლიოში არავის ურბენია. ქალთა შორის ამავე მანძილზე რბენაში იმარჯვა ლ. სოროკამ (დნეპროპეტროვსკი) — 2.05,7.

მოსკოველმა ვ. ლიახოვმა გააუმჯობესა მემორიალის რეკორდი ბადროს ტყორცნაში, რომელიც ლ. დანეკს (ჩეხოსლოვაკია) ეკუთვნოდა. ლიახოვმა 61,62 მეტრი აჩვენა.

5000 მეტრზე რბენაში ბადალი არ ჰყავდა რ. შარაფეტდინოვს (ლენინგრადი) — 13.47,8. მისმა თანაქალაქელმა, მსოფლიო რეკორდსმენმა ნ. ჩიჟოვამ მოიგო ბირთვის კვრა — 18,86 მ, მოსკოველი ი. ტერ-ოვანესიანი საუკეთესო იყო სიგრძეზე ხტომაში — 794 სმ.

100 მეტრზე რბენაში პირველობა მოიპოვეს ალმაათელმა ლ. გოლომაზოვამ (11,6) და ბაქოელმა ა. კორნელიუკმა (10,3).

## მძლეოსნობა

## სტარტზე — ცეცხლთან მებრძოლნი

ბათუმის „დინამოს" სტადიონზე ორ დღეს გაგრძელდა ამ საზოგადოების აჭარის საოლქო საბჭოს პირად-გუნდური პირველობა სახანძრო-გამოყენებით სპორტში.

100-მეტრიანი ზოლის გადალახვაში ყველას აჯობა სპორტის ოსტატმა ნ. სარხანიძემ — 19,8. საიერიშო კიბით სასწავლო კოშკურის მეოთხე სართულზე ასვლაში გაიმარჯვა მ. მხეიძემ — 18,1. სასწავლო კოშკურის მესამე სართულზე წყვილთა ასვლაში შეჯიბრება მოიგეს სარხანიძემ და ჯ. თურმანიძემ — 17,3. ესტაფეტა 4×100 მეტრზე მე-11 ნაწილის გუნდის გამარჯვებით დამთავრდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს მე-15 ნაწილის სპორტსმენებმა.

ო. მურვანიძე.

ბათუმი.

## ფოტოთვალით მექსიკის საფეხბურთო მინდვრებზე



შესაძლოა, ეს ვინმეს პარადოქსად მოეჩვენოს, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, მექსიკის საფეხბურთო მინდვრებზე ახლახან დამთავრებული მსოფლიო ჩემპიონატის უაღრესად მაღალი დონე სწორედ მაღალმთიანეთის ყბადაღებულმა პრობლემამ განაპირობა: ყველა ფინალისტი განსაკუთრებული მონდომებითა და გულისყურით მოეკიდა მექსიკის სტადიონებზე სათამაშოდ მომზადებას, რასაც, ცხადია, თავისი ნაყოფი უნდა გამოეღო. და გამოიღო კიდეც!

ბრაზილიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისის, პერუსა და იტალიის ნაკრებმა გუნდებმა კი ისეთი ფეხბურთი გვიჩვენეს, რომლის მსგავსი არც ინგლისის VIII მსოფლიო ჩემპიონატში გვინახავს და, როგორც მრავლისმნახველი სპეციალისტები და ჟურნალისტები ამბობდნენ, არც მანამდე უთამაშია ვინმეს.

მატჩები: გფრ — იტალია, ბრაზილია — პერუ, ინგლისი — გფრ, ბრაზილია — იტალია პირდაპირ დიდებული სანახაობა იყო.

და მაინც, ბრაზილიის ნაკრები ერთი თავით მაღლა იდგა ყველა მეტოქეზე. რამსეის ბიჭებთან მძიმე მატჩშიც კი, როცა შეხვედრის ბედი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა და ინგლისელებმა ბრაზილიელთა კარის ალების რამდენიმე ნაღდი შანსი დაკარგეს, იგრძნობოდა, რომ ბრიტანელები ძალთა მაქსიმალური დაძაბვით თამაშობდნენ, ბრაზილიელებს კი თავიანთი უშრეტი პოტენციის ზამბარა ბოლომდე არ ჰქონდათ დაჭიმული.

ზედა სურათზე თქვენ ხედავთ ბრაზილიის ნაკრების ცენტრალურ თავდამსხმელებს ტოსტაოსა და პელეს.

ქვედა სურათზე აღბეჭდილია ბრაზილიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების შეხვედრის მომენტი. გარლვევაზეა ჟაირზინიო, მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში მარჯვენა გარემარბად ერთხმად რომ დაასახელეს სპეციალისტებმაც და ჟურნალისტებმაც!

## ფეხბურთი, ფეხბურთი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეხიკო. მეხიკო...

სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირის ნაკრები ჩემპიონატში ერთობ კუსუსურად გამოიყურებოდა. ეს იყო ერთ-ერთი უსუსტესი გუნდი, რომელმაც ბოლოს და ბოლოს სანტად დატოვა უცხოელი ჟურნალისტები, მისგან რატომღაც გაცილებით მეტს რომ მოელოდნენ. ძალიან კარგად ითამაშეს მხოლოდ შესტერნიოვმა, კავაზაშვილმა, აგრეთვე, ძოძუაშვილმა. მაგრამ სამი ფეხბურთელი ძალიან ცოტაა: გუნდი ხომ თერთმეტი კაცისგან შედგება.

ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირისა და ურუგვაის გუნდების მატჩის მომენტი. სახიფათო გადაცემას შესანიშნავად ახშობს ურუგვაელთა კარის მცველი მაზურკევიჩი, რომელიც ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ შეიძლება ვაღიაროთ.







სსრ კავშირის

XXXVII ჩემპიონატი

## კანდელი და გუნდის „მეორე ნახევარი“

„დინამო“ (თბილისი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 94:80 (41:44).

„დინამო“: მოსეშვილი (21), ალთაბაევი (16), ქორქია (14), უგრეხელიძე (10), სხიერელი (8), მაღალაშვილი (8), საკანდელიძე (7), ბოლქვაძე (7), ჩიხლაძე (2), ლეჟავა (1), ნარიმანიძე.

„ურალმაში“: კანდელი (28), ბოლევაჩოვი (17), დვორნი (11), დიდრიხსი (6), კოვალიოვი (5), ივანოვი (5), კოროსტილიოვი (2), კოშინი (2), ერიომინი (2), მიშაკოვი (2), ჩერნი, აზაროვი.

მსაჯები: ლ. ფლიგელმანი (ოდესა), ე. ტრეგუბოვი (კიევი).

„ურალმაშის“ თავდამსხმელთა შედეგიანობა ჩემპიონატის 25 მატჩში 1932 ქულას შეადგენს. ეს არც ბევრია, არც ცოტა, მაგრამ ამ ოთხნიშნა ციფრმა სულ სხვა მიზეზით დაგვაინტერესა. როგორც მცირე მათემატიკურმა ანალიზმა ცხადყო, „ურალმაშის“ თავდამსხმელთა „აქტიურობის“ მეოთხედზე მეტი გუნდის ვეტერანის ალექსანდრე კანდელის ანგარიშზე მოდის. და კიდევ ერთი, სტატისტიკური ხასიათის ნიუანსი: კანდელი ყოველ მატჩში თავის გუნდს საშუალოდ 18 ქულას აძლევს.

როგორც ხედავთ, კალათბურთელთა შორის საკმაოდ გავრცელებული გამოთქმა იმის შესახებ, რომ კანდელი ნახევარი „ურალმაშია“, საფუძველს მოკლებული არ არის. რაც შეეხება გუნდის „მეორე ნახევარს“, მას თითქოს არც ერთი საკალათბურთო ღირსება (სიმაღლე, სროლა, სისწრაფე, ბრძოლის უნარი) არ აკლია, გარდა უმთავრესისა — ოსტატობისა, მაგრამ ეს უკვე დროსა და გამოცდილებას მოაქვს.

კანდელმა ამ დღეს 34 წუთს დაჰყო მოედანზე და 28 ქულა მისცა გუნდს. მწვრთნელმა იგი მხოლოდ მას შემდეგ გაიყვანა, როცა ბრძოლის ბედი გადაწყვეტილად მიიჩნია („დინამო“ ამ დროს 15 ქულით იყო წინ).

თბილისელთა გამარჯვება გუშინწინდელ მატჩში ეჭვს არ იწვევდა. მართალია, პირველი ნახევარი მათ 3 ქულით დათმეს, მაგრამ ისიც ცხადი იყო, რომ „ურალმაში“, მთელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო, ვერ შეძლებდა ამ უმნიშვნელო უპირატესობის შენარჩუნებას. შესვენების შემდეგ თბილისელებმა მიზანში აიღეს მეტოქის კალათი, უფრო გეგმაზომიერად წარმართეს ბრძოლა შეტევის დასკვნით ფაზაში და სულ მალე გატეხეს ურალელთა წინააღმდეგობა.

„დინამომ“ დაამთავრა შეხვედრების ციკლი შინ. ახლა მას მეტად პასუხსაგები მატჩები ელის კიევში, ლენინგრადსა და ტარტუში. ცხადია, ამ შეხვედრათა შედეგები დიდ გავლენას იქონიებს ჩვენი გუნდის შემდგომ სატურნირო მდგომარეობაზე.

ნ. გუგუშვილი.

### შათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 ივლისისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 27 | 24 | 8 | 2254—1902 | 24 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 26 | 20 | 6 | 2074—1861 | 20 |
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 27 | 20 | 7 | 2015—1812 | 20 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 26 | 19 | 7 | 2052—1965 | 19 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 26 | 15 | 11 | 2130—2050 | 15 |
| „დინამო“ (თბილისი) | 27 | 14 | 13 | 2166—2186 | 14 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 26 | 13 | 13 | 2066—2055 | 13 |
| ასკ (კიევი) | 27 | 10 | 17 | 1937—1977 | 10 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 27 | 8 | 19 | 1959—2158 | 8 |
| ასკ (რიგა) | 26 | 7 | 19 | 1902—2061 | 7 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 26 | 5 | 21 | 1932—2164 | 5 |
| „ლოკომოტივი“ (ალმა-ათა) | 26 | 4 | 22 | 1898—2152 | 4 |



ს უ რ ა თ ზ ე: თბილისელთა შეტევის მომენტი. ბურთს ფლობს ვ. ალთაბაევი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

# სპორტული ივლისი

ზაფხულის მეორე თვე მდიდარია სპორტული შეჯიბრებებით. გთავაზობთ მათგან უმთავრესს.

### აკადემიური ნიჩბოსნობა

4—5. ქალთა საერთაშორისო შეჯიბრება — „ბრანდენბურგის რეგატა“ (გდრ).

8—14. საერთაშორისო შეჯიბრება — „ლიუცერნის რეგატა“ (შვეიცარია).

9-12. სსრ კავშირის თასი (კიევი).

### აფროსნობა

4—6. ევროპის ჩემპიონატი „ფინის“ კლასში (ირლანდია).

11—18. საერთაშორისო შეჯიბრება — „ბალტიის ზღვის ქვეყნების კვირეული“ (გდრ).

24. VII — 2. VIII. ევროპის ჩემპიონატი „ვარსკვლავის“ კლასში (შვეცია).

### ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობა

9—12. იუნიორთა საკავშირო პირველობა (მინსკი).

31. VII — 2. VIII. მსოფლიო ჩემპიონატი (დანია).

### ველოსპორტი

4—7. სოციალისტური ქვეყნების ჭაბუკ სპორტსმენთა შეჯიბრება — „მეგობრობა“ გზატკეცილზე და ტრეკზე (ტალინი).

10—12. სსრ კავშირის ჩემპიონატი (გზატკეცილი, გორკი).

16—19. იუნიორთა საკავშირო პირველობა (ტრეკი, ვენტსპილსი).

21—24. საკავშირო შეჯიბრება (გზატკეცილი, კაუნასი).

24—27. სსრ კავშირის ჩემპიონატი (ტრეკი, სალიდერო რბოლა. ტალინი).

### თავისუფალი ჭიდაობა

9—11. მსოფლიო ჩემპიონატი (კანადა).

### თანამედროვე ხუთჭიდი

11—15. საერთაშორისო შეჯიბრება (მოსკოვი).

### კალათბურთი

18—27. ქალთა ეროვნული გუნდების საერთაშორისო შეჯიბრება (იტალია).

### კლასიკური ჭიდაობა

4—6. მსოფლიო ჩემპიონატი (კანადა).

### კრივი

8 — 15. იუნიორთა საკავშირო პირველობა (ბარნაული).

24—31. ჭაბუკთა საკავშირო პირველობა (სევასტოპოლი).

### მშვილდოსნობა

9—11. ევროპის ჩემპიონატი (ჩეხოსლოვაკია).

### მძლეოსნობა

18—20. გოგონათა და ჭაბუკთა საკავშირო პირველობა (ორიოლი).

23—24. სსრ კავშირისა და აშშ-ს ნაკრები გუნდების მატჩი (ლენინგრადი).

28—31. იუნიორთა საკავშირო პირველობა (მოსკოვი).

### მხატვრული ტანვარჯიში

4—5. ბულგარეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შეჯიბრება (ბულგარეთი).

23—25. გოგონათა საკავშირო პირველობა (ლიპეცკი).

### რაგბი

16—20. სსრ კავშირის პირველობა (შესარჩევი თამაშები. კიევი, თბილისი).

### სამბო

4—5. III საერთაშორისო ტურნირი (სოჭი).

### სამოტოციკლო სპორტი

19. მსოფლიო ჩემპიონატი (საგზატკეცილო რკალური რბოლა. ჩეხოსლოვაკია).

### სასტენდო სროლა

24—30. სსრ კავშირის პირველობა (კაუნასი).

### საცხენოსნო სპორტი

31. VII — 9. VIII. სსრ კავშირის პირველობა (მოსკოვი).

### წყალსათხილამურო სპორტი

29. VII — 2. VIII. სსრ კავშირის პირველობა (დუბნა).

### ტანვარჯიში

4—5. სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ვაჟთა ნაკრები გუნდების შეჯიბრება (იუგოსლავია).

### ტყვიის სროლა

29. VII — 6. VIII. იუნიორთა საკავშირო პირველობა (ლვოვი).

### ფარიკაობა

6—13. გდრ-ისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შეჯიბრება (გდრ).

### შაში

4—13. სსრ კავშირის თასი (ტულა).

### ჩოგბურთი

17—19. დევისის თასი. მეორე ევროპული „ბ“ ზონის ფინალი (გფრ).

### წყალში ხტომა

8—15. გდრ-ისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შეჯიბრება (გდრ).

25—30. სსრ კავშირის პირველობა (ხარკოვი).

### წყალბურთი

6—11. ევროპის იუნიორთა პირველობა (ჰოლანდია).

20—27. მევობრულ არმიათა პირველობა (ლენინგრადი).

### ჭადრაკი

4—15. ჭაბუკთა საკავშირო პირველობა (ხარკოვი).

### ჰოკეი

25. VII — 11. VIII. საკლუბო გუნდების საერთაშორისო შეჯიბრებები. მონაწილეობს მოსკოვის „სპარტაკი“ (გფრ, იტალია, საფრანგეთი).

### სტუდენტთა საკავშირო თამაშები

15—26. დონის როსტოვი, ტაგანროგი, ნოვოჩერკასკი.





## სსრ კავშირის პირველობა




# შეიძლებოდა მოგებას

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 2 ივლისი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „არარატი" (ერევანი) 0:0.

„ტორპედო": გოგია, ჩხაიძე, წვერავა, შერგელაშვილი, ჭოხონელიძე, ოქროპირაშვილი, ერქომაიშვილი, დელბა, ვეკუა, ხერხაძე, ქორიძე (ანფიმიადი).

„არარატი": რაზინსკი, მარტიროსიანი, აბრამიანი, კოვალენკო, მესროპიანი, ანდრიასოვი, ბონდარენკო, ოვსეპიანი, იშტოიანი, ზანაზანიანი, კაზარიანი.

მსაჯი გ. აზიმ-ზადე (ბაქო).

დუბლიორები — 2:0 „არარატის" სასარგებლოდ.

მასპინძლებმა განზრახ ნელ ტემპში დაიწყეს თამაში. ეტყობა, ისინი ძალას შემდგომი ბრძოლისთვის ინახავდნენ, ამიტომ დასაწყისში ერიდებოდნენ ზედმეტ გამწვავებებს. თუმცა, ამ ვითარებაშიც მათ რამდენიმეჯერ მიეცათ ბურთის გატანის შესაძლებლობა. მაგალითად, მე-5 წუთზე ვეკუამ ხაგოლე პოზიციაში გაიყვანა დელბა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ბოლო მომენტში სუსტად დაარტყა და საშუალება მისცა რაზინსკის აეღო ბურთი. შუა ტაიმში გარღვევაზე გასულმა შერგელაშვილმა თავით გაგზავნა ბურთი კარისკენ, მაგრამ იგი ძელს მოხვდა. ეს იყო და ეს. სხვა შემთხვევებში თამაში მიმდინარეობდა მინდვრის ცენტრში და არც ერთი მხარე არ ცდილობდა ინიციატივის ხელში აღებას.

სამაგიეროდ, ტორპედოელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს მეორე ტაიმი. თამაში სულ რამდენიმე წუთის განახლებული იყო, როცა რაზინსკიმ ძალიან ძნელი ბურთი აიღო წვერავასგან და მალე იმავე წვერავამ შორიდან ოდნავ ააცილა ბურთი კარს. 50-ე წუთზე ვეკუა — დელბას კომბინაცია მცველებმა ბოლო მომენტში ჩაშალეს.

და მაინც, ყველაზე სახიფათო მომენტი „არარატის" კართან შეიქმნა 52-ე წუთზე. ხერხაძემ ერქომაიშვილისგან მიიღო გადაცემა, გვერდი აუარა მცველს, შემდეგ რაზინსკის, და დაახლოებით 8 მეტრის მანძილზე ცარიელი კარის პირისპირ აღმოჩნდა. გოლი გარდუვალი იყო, მაგრამ ფორვარდი აჩქარდა და ბურთი მიზანს ასცდა. საერთოდ, ხერხაძის მიხამართით უნდა ითქვას, რომ იგი დიდ დახმარებას უწევს თავის კოლექტივს, კარგად ათამაშებს პარტნიორებს, მაგრამ დაკარგა სწორედ ის თვისება, რითაც ადრე გამოირჩეოდა — გოლის გატანის წყურვილი, კარში ზუსტი დარტყმის უნარი. ეს კი ძალიან ეტყობა ქუთაისის „ტორპედოს". საყვედური ითქმის ახალგაზრდა ქორიძის მიმართაც, რომელიც ზედმეტად ერთობა ინდივიდუალური თამაშით.

„არარატთან" მატჩის მოგება ქუთაისელებს შეეძლოთ. და მით უფრო დასანანია დაკარგული ქულა, რომ ახლა აუტსაიდერთა ჯგუფში მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდა, ხოლო ტორპედოელებს წინ სამი მატჩი აქვთ სტუმრად. გუნდმა მეტოქეთა მინდვრებზე მაქსიმალური მონდომებით უნდა იბრძოლოს.

შ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

1:0, 3:2, 0:0, 2:2, 0:1

საკავშირო ჩემპიონატის 2 ივლისის ტურის მატჩებში ორი დამთხვევა მოხდა. ბაქოში თამაშობდნენ სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალის მეტოქეები — „ნეფთჩი" და თბილისის „დინამო", მოსკოვში კი ადგილობრივი და კიეველი დინამოელები. მოსკოველებმა კარგად ითამაშეს და დაამარცხეს მეტოქე — 1:0. ამ ერთადერთი გოლის ავტორი იყო წლევანდელი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი კოზლოვი. მას ახლა 10 ბურთი აქვს გატანილი.

„ზენიტმა" შინ მოუგო „შახტიორს" — 3:2.

როსტოვის არმიელებმა თავიანთ მინდორზე ფრედ ითამაშეს „ზარიასთან" — 0:0.

2:2. ასე დამთავრდა მატჩი ოდესაში „ჩერნომორეცსა" და მინსკის „დინამოს" შორის.

მორიგი მარცხი განიცადა ორჯონიკიძის „სპარტაკმა", რომელიც შინ ეთამაშებოდა „ფახთაკორს" — 0:1.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 13 | 8 | 3 | 2 | 23—7 | 19 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 13 | 8 | 3 | 2 | 21—6 | 19 |
| „დინამო" (კიევი) | 13 | 8 | 2 | 3 | 16—9 | 18 |
| „დინამო" (თბილისი) | 13 | 6 | 5 | 2 | 19—8 | 17 |
| სკა (დონის როსტოვი) | 13 | 5 | 6 | 2 | 10—6 | 16 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 13 | 5 | 5 | 3 | 14—12 | 15 |
| „არარატი" (ერევანი) | 13 | 6 | 3 | 4 | 11—9 | 15 |
| „ნეფთჩი" (ბაქო) | 14 | 4 | 6 | 4 | 12—9 | 14 |
| „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 14 | 4 | 6 | 4 | 7—12 | 14 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 13 | 3 | 7 | 3 | 19—14 | 13 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 13 | 2 | 7 | 4 | 7—10 | 11 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 14 | 3 | 5 | 6 | 9—13 | 11 |
| „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 13 | 3 | 4 | 6 | 8—23 | 10 |
| „დინამო" (მინსკი) | 13 | 2 | 5 | 6 | 11—16 | 9 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 13 | 3 | 3 | 7 | 13—20 | 9 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 13 | 2 | 5 | 6 | 9—20 | 9 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 13 | 0 | 5 | 8 | 8—23 | 5 |

## კენჭისყრა გადაწყვეტს

ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩების ჩატარების ადგილს, დებულების თანახმად, გადაწყვეტს კენჭისყრა. ორივე ნახევარფინალური მატჩი შედგება 25 ივლისს.

ერთი ნახევარფინალური წყვილის - შეხვედრის ადგილი 2 ივლისს გახდა ცნობილი. მოსკოვის დინამოელები თავიანთ მინდორზე მიიღებენ კიევის „დინამოს".

თბილისის „დინამოსა" და ბაქოს „ნეფთჩის" შეხვედრის დასადგენად კენჭისყრა მოგვიანებით შედგება.

# მექსიკო, მექსიკო...

ბრაზილიის ნაკრების კაპიტანს კარლოს ალბერტოს მსოფლიო ჩემპიონის სახელის მოხვეჭას ულოცავს წარსულში სახელგანთქმული ბრაზილიელი ფეხბურთელი, ამჟამად კი პერუს გუნდის მწვრთნელი დიდი.

მარცხენა სურათზე კი გფრ-ისა და იტალიის ნაკრები კოლექტივების დრამატული შეხვედრის ერთ-ერთი მწვავე ეპიზოდია აღბეჭდილი. თამაშის 89-ე წუთზე გერმანელთა ცენტრალურმა მცველმა შნელინგერმა საუცხოოდ მიიღო გადაცემა მარჯვენა ფლანგიდან და ალბერტოზის კარში საპასუხო ბურთი გაიტანა. ამ გოლმა უბრწყინვალესი საფეხბურთო სპექტაკლის ორი ახალი 15-წუთიანი აქტი მოითხოვა.

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა „ა" კლასის I ჯგუფის გუნდების საკავშირო პირველობის გათამაშების მორიგი კალენდარული მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი". თამაში დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 1:0. ბურთი 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაიტანა ხუციშვილმა.

# თბილისელებმა ცუდად ითამაშეს

ბაქო. რესპუბლიკური სტადიონი. 2 ივლისი.

„ნეფთჩი" (ბაქო) — „დინამო" (თბილისი) 1:0 (1:0).

„ნეფთჩი": კრამარენკო, ყულიევი, ბრუხტი, ბაბაევი, რახმანოვი, ზეინალოვი, სტეკოლნიკოვი, სმოლნიკოვი, ბანიშევსკი, შევჩენკო (ალი-ზადე), გაჯიევი.

„დინამო": ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე (ლ. ნოდია), ელიავა, მეტრეველი, გ. ნოდია, გავაშელი.

მსაჯი ბ. სტრელეცკი (დონეცკი).

დუბლიორები — 2:0 „ნეფთჩის" სასარგებლოდ.

ეს მატჩი ყოველმხრივ საინტერესო იყო. ჯერ ერთი, „ნეფთჩი" და თბილისის „დინამო" თასის მიმდინარე გათამაშების ნახევარფინალური წყვილის წარმომადგენლები არიან და სულ მალე, 25 ივლისს, ისევ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს ფინალში თამაშის უფლების მოსაპოვებლად. ამას გარდა, ბაქოელებმა ზედიზედ წააგეს ბოლო 4 მატჩი და, ბუნებრივია, ყველაფერს ილონებდნენ ლიდერთა ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენლის წინააღმდეგ ბრძოლისას. დაუმატეთ ამას ისიც, რომ მაყურებელი საგანგებო ყურადღებით მოელოდა სსრ კავშირის ნაკრების წევრების გამოსვლას თბილისის „დინამოდან".

ბაქოელი ფეხბურთელები ძალზე ძნელ ბრძოლას მოელოდნენ. მათი მდგომარეობა გართულდა იმითაც, რომ გუნდის დისპეტჩერმა და მთავარმა იალამ მარქაროვმა ჯერ კიდევ მოთელვისას იტკინა ფეხი და მონაწილეობა ვერ მიიღო მატჩში, მაგრამ, როგორც თამაშის მსვლელობამ ცხადყო, „ნეფთჩის" გამარჯვების მოპოვება მაინცდამაინც არ გაჭირვებია. მართალია, მან ითამაშა მთელი მონდომებით, მაქსიმალური დატვირთვით და სწორედ ამის ხარჯზე შეძლო თავს მოეხვია მეტოქისთვის თავისი ტაქტიკური გეგმა, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის „დინამო" შორს, ძალიან შორს იდგა იმ გუნდისგან, რომელსაც ბაქოში მოელოდნენ.

ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა ნახევარდაცვის თამაში. ამ ხაზის საშუალო წარმომადგენელი ტაქტიკური სქემიდან იყო ამოვარდნილი. ისინი ზედმეტად, სრულიად უმიზნოდ აყოვნებდნენ ბურთს მინდვრის შუაგულში და თუ დააპირებდნენ გადაცემას, ბურთი ან მოწინააღმდეგეებს უვარდებოდათ ხელთ, ან საერთოდ უაზროდ იკარგებოდა. სუსტად ითამაშეს მცველებმაც, ხოლო თავდასხმაში გ. ნოდიამ ისე გაატარა მინდორზე 90 წუთი, რომ, როგორც იტყვიან, თითი თითზე არ დაუკარებია. ოდნავ უკეთესი იყო მეტრეველი.

ჩვენთვის გარკვეულ უხერხულობას წარმოადგენს სტუმართა გუნდის მოთამაშეების ასეთი „დახასიათება", მაგრამ ნათქვამი, სამწუხაროდ, სინამდვილეს შეესაბამება. შედარებით უკეთ თამაშობდნენ დინამოელები შესვენების შემდეგ, როცა აგებდნენ და ცდილობდნენ მდგომარეობის გამოსწორებას. მაგრამ „ნეფთჩის" მცველებმა მათ არ მისცეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება. ამასთან, რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო კრამარენკომ.

გოლი, რომელმაც ბაქოელებს ესოდენ საჭირო გამარჯვება მოუტანა, 22-ე წუთზე გაიტანა შევჩენკომ. იგი კარგად გავიდა თბილისელთა მცველებს შორის და ზუსტად დაარტყა.

პ. მირიევი.
(ტელეფონით).

ეროვნული ბიბლიოთეკა





# მეხიკო, მეხიკო...

იმის სრულად აღწერა, რაც მეხიკოში სალვადორელებთან მასპინძელთა ნაკრების გამარჯვების შემდეგ ხდებოდა, ყოვლად შეუძლებელია. დამთავრდა თუ არა ეს მატჩი, ქალაქის ცენტრში აღმართული თავისუფლების მონუმენტისკენ დაიძრნენ ავტომანქანებზე ამხედრებული, სოლცარ ექსტაზში შესული მექსიკელების ჯგუფები... არაადამიანურად აღგზნებული ახალგაზრდები (და არა მარტო ახალგაზრდები) ხმის ჩახლეჩამდე გაჰკიოდნენ: „მე-ხი-კო, მე-ხი-კო, რ-რა-რა! მე-ხი-კო, მე-ხი-კო, რა-რა-რა!“.

ქალაქი პირდაპირ პარალიზებული იყო. თავისუფლების მონუმენტთან ხალხმრავალმა მიტინგმა თითქმის გათენებამდე გასტანა. აფრიალებდნენ ეროვნულ დროშებს, ტრანსპარანტებს, ლოზუნგებს... ისროდნენ შუშხუნებს, უკრავდნენ დოლს და ერთმანეთს სცემდნენ ქვაბის ხუფებს, ცეკვავდნენ მანქანის ძარაზე, ცეკვავდნენ მონუმენტის გარშემო, ქუჩებში, გაზონებზე...

ჩვენი სასტუმროს შესასვლელის სახურავზე დადგმული პლასტმასის უზარმაზარი ბურთი... მოიპარეს. შესასვლელს მიაყენეს სატვირთო მანქანა, აცვივდნენ სახურავზე, მე-ხი-კო, მე-ხი-კო, რა-რა-რას ძახილით ეძგერენ ბურთს, შეარყიეს, მიაწვნენ, ძვრა უყვეს და მანქანაში გადააგდეს. მერე ნაკუწ-ნაკუწ აქციეს და... სუვენირებად წაიღეს.

თითქმის დილამდე იდგა ქალაქში ყურთასმენის წამლები ღრიანცელი. 400 კაცი დაშავდა იმ ღამით მეხიკოში — ზოგი მანქანიდან გადმოვარდა, ზოგიც მანქანის ქვეშ ჩავარდა. და ყოველივე ეს — სალვადორის წარმოუდგენლად სუსტ ნაკრებთან მოგების შემდეგ.

ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, იტალიელებთან შემდეგი მატჩიც მექსიკის ნაკრებს რომ მოეგო!

სურათებზე სწორედ ამ ფანატიკური ზეიმის მომენტებია აღბეჭდილი.

მ. კაკაბაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მეხიკო — თბილისი.

# ახალი ამბები

● მოსკოვი, 2 ივლისი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში 7 ტურის შემდეგ კვლავ ლიდერობს საბჭოთა დიდოსტატი ა. ლეინი, რომელსაც 5,5 ქულა აქვს. უცხოელ მონაწილეთა შორის ყველაზე უკეთ თამაშობენ გდრ-ის ჩემპიონი ჰ. ბაუმბახი, საერთაშორისო ოსტატი ტ. უიტუმენი (მონღოლეთი) და უნგრელი დიდოსტატი კ. ჰონფი — 4-4 ქულა 7-დან.

● სკოპლე, 2 ივლისი. იუგოსლავიის ამ ქალაქში დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო შეჯიბრება — „სოლიდარობის ტურნირი“. I-II ადგილები დაიკავეს საბჭოთა დიდოსტატებმა მ. ტაიმანოვმა და ე. ვასიუკოვმა — 11-11 ქულა 15-დან. მათ 1 ქულით ჩამორჩა III ადგილზე გასული რუმინელი დიდოსტატი ფ. გეორგიუ. შეჯიბრების მესამე საბჭოთა მონაწილემ — მოსკოვის ჩემპიონმა ი. ბალაშოვმა 8,5 ქულით V ადგილი დაიკავა. იუგოსლაველმა დიდოსტატებმა ს. გლიგორიჩმა და მ. მატულოვიჩმა 8-8 ქულა დააგროვეს, ხოლო ამერიკელმა დიდოსტატმა ს. რეშევსკიმ — 7. ეს ტურნირი რიგით მეთხე იყო.

● მოსკოვი, 2 ივლისი. ასეთი რამ არასოდეს მომხდარა: ცხენის გაჭენებაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა ქალი — საბჭოთა მხედარი ე. პეტუშკოვა. მოსკოვის უნივერსიტეტის მასწავლებელმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, 30 წლის პეტუშკოვამ ყველას აჯობა ძალიან ძნელ შეჯიბრებაში, რომელშიც ოლიმპიური ჩემპიონებიც მონაწილეობდნენ. სიმბოლურია, რომ მან ოქროს მედალი მოიგო აახენში, სადაც 1967 წელს ევროპის ცხენოსან ქალთა შორის უძლიერესის სახელი მოიხვეჭა. პეტუშკოვას სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა.

● პიარნუ, 2 ივლისი. ესტონეთის მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გამართულ შეჯიბრებაში ტალინელმა უ. იოანდმა ბირთვი 18,10 მეტრზე ჰკრა და დაამყარა 15-16 წლის ჭაბუკთა ახალი საკავშირო რეკორდი, რომელიც ძველს 9 სანტიმეტრით სჯობს.

● ბელგრადი, 2 ივლისი. იუგოსლავიისა და აშშ-ს მოკრივეთა ეროვნული ნაკრები გუნდების მატჩი დაძაბულად მიმდინარეობდა. მინიმალური უპირატესობით (6:5) გაიმარჯვეს იუგოსლაველებმა.

## [illegible]

სომბათხეი. 20-28 ივნისი. ევროპის ძალოსანთა ჩემპიონატი. მონაწილეობდა 21 ქვეყნის 122 ათლეტი.

უმძიმესი წონა. სამჭიდი. 1. ვ. კრიშჩიშინი (სსრ კავშირი) 340 (112,5+97,5+130), 2. ზ. ხოლცრაიტერი (უნგრეთი) 327,5, 3. ვ. სმეტანინი (სსრ კავშირი) 325. აჭიმვა. 1. კრიშჩიშინი — 112,5, 2. ხოლცრაიტერი — 110, 3. ზ. სმალცეჟი (პოლონეთი) — 105. ატაცი. 1. სმეტანინი — 100, 2. კრიშჩიშინი — 97,5, 3. სმალცეჟი — 92,5. აკვრა. 1. კრიშჩიშინი — 130, 2. სმეტანინი — 125, 3. ხოლცრაიტერი — 125 (საბჭოთა ათლეტი 125 გრამით მსუბუქი აღმოჩნდა).

მჩატე. სამჭიდი. 1. ი. ფიოლდი (უნგრეთი) 372,5 (127,5+105+140), 2. მ. ნოვაკი — 362,5, 3. ვ. შოლტისეკი (ორივე — პოლონეთი) 352,5, 4. რ. ბელენკოვი (სსრ კავშირი) 347,5. აჭიმვა. 1. ფიოლდი — 127,5, 2. ბელენკოვი — 112,5, 3. ა. კიროვი (ბულგარეთი) — 112,5. ატაცი. 1. ნოვაკი 110, 2. შოლტისეკი — 107,5, 3. ზ. პროხლი (გდრ) — 107,5... 7-8. ბელენკოვი — 100. აკვრა. 1. ნოვაკი — 142,5, 2. ფიოლდი — 140, 3. შოლტისეკი — 135, 4. ბელენკოვი — 135.

ქვემსუბუქი. სამჭიდი. 1. მ. კუჩევი (ბულგარეთი) 382,5 (132,5+107,5+142,5), 2. ი. ვოინოვსკი (პოლონეთი) 377,5, 3. ი. ბენედეკი (უნგრეთი) 375. აჭიმვა. 1. კუჩევი — 132,5, 2. ბენედეკი — 120, 3. ჰ. ბეკერი (გდრ) 120. ატაცი. 1. ვოინოვსკი — 120, 2. ბენედეკი — 115, 3. კუჩევი — 107,5. აკვრა. 1. ჰ. ტრებიცკი (პოლონეთი) — 145, 2. პ. ტანტი (იტალია) — 142,5, 3. კუჩევი — 142,5.

მსუბუქი. სამჭიდი. 1. ი. ბაგოჩი (უნგრეთი) 432,5 (140+125+167,5), 2. ვ. ბაშანოვსკი — 432,5, 3. ზ. კაჩმარეკი (ორივე — პოლონეთი) 427,5. აჭიმვა. 1. ბაგოჩი — 140, 2. კაჩმარეკი — 140, 3. ბაშანოვსკი — 140. ატაცი. 1. ო. ზეკელი (ჩეხოსლოვაკია) — 130, 2. ბაშანოვსკი — 130, 3. ბაგოჩი — 125. აკვრა. 1. ბაგოჩი — 167,5, 2. კაჩმარეკი — 165, 3. ბაშანოვსკი — 162,5.

ქვესაშუალო. სამჭიდი. 1. ვ. კურენცოვი (სსრ კავშირი) 465 (152,5+137,5+175), 2. გ. სარვაში (უნგრეთი) 452,5, 3. ე. სმირნოვი (სსრ კავშირი) 445. აჭიმვა. 1. კურენცოვი — 152,5, 2. ვ. დიტრიში (გდრ) — 150, 3. ა. მუხერი (გფრ) — 145, 4. სმირნოვი — 145. ატაცი. 1. კურენცოვი — 137,5, 2. დიტრიში — 135, 3. სმირნოვი — 135. აკვრა. 1. სარვაში — 177,5, 2. კურენცოვი — 175, 3. ი. ბიკოვი (ბულგარეთი) — 165, 4. სმირნოვი — 165.

საშუალო. სამჭიდი. 1. გ. ივანჩენკო (სსრ კავშირი) — 487,5 (162,5+140+185), 2. დ. ხორვატი (უნგრეთი) 472,5, 3. ს. სოხანსკი (პოლონეთი) 465. აჭიმვა. 1. ივანჩენკო — 162,5, 2. პ. ბეტენბორგი (შვეცია) — 162,5, 3. ნ. ოზიმეკი (პოლონეთი) — 157,5. ატაცი. 1. ოზიმეკი — 147,5, 2. ივანჩენკო — 140, 3. სოხანსკი — 140. აკვრა. 1. ივანჩენკო — 185, 2. ი. აველანი (ფინეთი) — 185, 3. ხორვატი — 182,5.

ქვემძიმე. სამჭიდი. 1. კაარლო კანგასნიემი (ფინეთი) 530 (177,5+160+192,5), 2. ვ. კოლოტოვი (სსრ კავშირი) 527,5 (170+157,5+200), 3. ბ. იუჰანსონი (შვეცია) 525. აჭიმვა. 1. კ. არნოლდი (გდრ) — 177,5, 2. იუჰანსონი — 177,5, 3. კანგასნიემი — 177,5, 4. კოლოტოვი — 170. ატაცი. 1. კანგასნიემი — 160, 2. იუჰანსონი — 157,5, 3. კოლოტოვი — 157,5. აკვრა. 1. კოლოტოვი — 201, 2. კ. გორიერი (უნგრეთი) — 192,5, 3. კანგასნიემი — 192,5.

მძიმე. სამჭიდი. 1. ი. ტალტსი (სსრ კავშირი) 562,5 (195+152,5+215), 2. ა. კრაიჩევი (ბულგარეთი) 525, 3. ი. ხონზლიკი (უნგრეთი) 517,5. აჭიმვა. 1. ტალტსი — 195, 2. კრაიჩევი — 180, 3. გ. ვუ (გფრ) — 180. ატაცი. 1. კაუკო კანგასნიემი (ფინეთი) 160, 2. მ. ლინდროოსი (ფინეთი) — 155, 3. ტალტსი — 152,5. აკვრა. 1. ტალტსი — 215, 2. კრაიჩევი — 195, 3. ლინდროოსი — 192,5.

ზემძიმე. სამჭიდი. 1. ვ. ალექსეევი (სსრ კავშირი) 612,5 (217,5+170+225), 2. კ. ლაჰდენრანტა (ფინეთი) 577,5, 3. მ. რიგერი (გდრ) 565. აჭიმვა. 1. ალექსეევი — 219,5, 2. რიგერი — 192,5, 3. ლაჰდენრანტა — 192,5. ატაცი. 1. ლაჰდენრანტა — 172,5, 2. ალექსეევი — 170, 3. რიგერი — 162,5. აკვრა. 1. ალექსეევი — 225,5, 2. ლაჰდენრანტა — 212,5, 3. რიგერი — 210.

გუნდური. 1. სსრ კავშირი — 51 ქულა, 2. უნგრეთი — 39, 3. პოლონეთი — 33.

## კრივი: სსრკ — აშშ

წლეულს თებერვალში გიგანტური ლაინერი „ბოინგი“ შერემეტიევოს აეროდრომზე დაეშვა. მისი მგზავრები — ამერიკელი მოკრივეები პირველად ეწვივნენ მოსკოვს. ამერიკელებს არასოდეს უასპარეზიათ ჩვენში.

იმაზე, თუ როგორ წარიმართა ორი ეროვნული ნაკრების შეხვედრა, მოგვითხრობს ცენტრალური დოკუმენტური ფილმების სტუდიის ნაწარმოები „კრივი: სსრკ — აშშ“. ფილმის რეჟისორია ი. გელეინი, ოპერატორები — ი. ლეინგარდტი, რ. პეტროსოვი, გ. სეროვი, მ. სილენკო.

მაყურებელი მოწმე გახდება ლამაზი ბრძოლებისა, ნახავს გუნდების წვრთნას, გაეცნობა მწვრთნელებს.

ახალი ფილმის ავტორები საშუალებას გვაძლევენ ვიხილოთ ყველა ბრძოლა, რომლებიც ლუჟნიკის სპორტის სასახლეში გაიმართა. ამაში მაყურებელს დაეხმარება ოპერატორების ორიგინალური კუთხით დანახული კადრები და ჟურნალისტ პ. მიხაილოვის შესანიშნავი სადიქტორო ტექსტი.

გ. რატომსკაია.

მოსკოვი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე


„ლოკომოტივის“ სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)



სსრ კავშირის პირველობა

6 ივლისს
„დინამო“ (თბილისი) — ცსკა.
დასაწყისი 19 ს. და 30 წ.


# თავი აარიდეს

ამას წინათ თელავში გაიმართა კოლმეურნე ფრენბურთელთა ზონალური პირველობა. სასიამოვნოა, რომ ბოლო დროს ფრენბურთელმა ვაჟებმა საგრძნობლად აიმაღლეს თამაშის კლასი, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით ქალებზე.

მაგრამ ვინც შეჯიბრების დღეებში ასპარეზობის საყურებლად მოვიდა, უეჭველად ნასიამოვნები დარჩა. ისინი საინტერესო, დაძაბული და უშეღავათო პაექრობების მოწმენი გახდნენ. ამას დაემატა ისიც, რომ შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული და თელავის სპორტსკოლის სპორტდარბაზში საზეიმო განწყობილება სუფევდა.

ვაჟთა შორის ფინალში დაძაბული ბრძოლის შემდეგ ყვარლელმა სპორტსმენებმა ანგარიშით 2:1 დაამარცხეს გარდაბნელი ფრენბურთელები და დამსახურებულად დაიკავეს I ადგილი. III ადგილი წილად ხვდა ლაგოდეხის კოლექტივს.

ქალთა ტურნირში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გარდაბნელმა ფრენბურთელებმა. მათ დიდი უპირატესობით დაამარცხეს მეტოქეები და გაიმარჯვეს კიდეც. II ადგილზე გავიდნენ ლაგოდეხელები, ხოლო III — თელავის წარმომადგენლები.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ამ ასპარეზობას რატომღაც თავი აარიდეს მცხეთის, დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგისა და ახმეტის კოლმეურნე სპორტსმენებმა.

ს. ოხანაშვილი,
(ჩვენი სპეც. კორ.).

თელავი.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 04333